ქალაქ თბილისის მერიის
არქიტექტურის სამსახურს

მოქ. რაგული რაზმაძის
მის. თბილისი, იყალთოს გორა №44ა

წერილობითი მოსაზრება

(№AR1294096 ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით)

2015 წლის 7 აპრილს, თბილისის არქიტექტურის სამსახურში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფაგლებში გამართულ ზეპირ მოსმენაზე მეცნობა, რომ სოფიო ანჯაფარიძემ, მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე წარმოებულ მშენებლობის ნებართვის პროექტში მოითხოვა კორექტირების შეტანა და არასრული სართულის დაშენების ნებართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, განმემარტა, რომ მე, როგორც დაინტერესებულ მხარეს, მქონდა საკუთარი მოსაზრების წარმოდგენის უფლება.

გაცნობებთ, რომ გავეცანი №AR1294096 განცხადებით წარმოდგენილ მშენებლობის პროექტს და მასთან დაკავშირებით მოგახსენებთ:

თუკი მშენებლობის ნებართვა კორექტირებული იქნება ზემოაღნიშნული განცხადებით წარმოდგენილი პროექტის შებამისად, აღნიშნული არასრული სართული არ მდებარეობს ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მხარეს, შესაბამისად, გამორიცხულია აღნიშნული სართულის ზემოქმედება ჩემს მიწის ნაკვეთზე ჩაუხედაობისა და განათების შეზღუდვის თვალსაზრისით. ერთადერთი საფრთხე, რაც შესაძლებელია, რომ ჩემს სახლს შეექმნას ამ კუთხით, გახლავთ ის გარემოება, თუკი აღნიშნული პროექტი შედგენილია არასწორად და/ან მშენებლობის პროცესი წარიმართება ისეთი დარღვევებით, რომ მშენებარე შენობა-ნაგებობის მდგრადობას შეექმნას საფრთხე. აღნიშნულის შემოწმება ისედაც შედის თქვენი სამსახურის კომპეტენციაში და ვიმედოვნებ, თუ ასეთი გარემოება სახეზე იქნება, მშენებლობის ნებართვა ისედაც არ იქნება გაცემული.

ამასთან, დამატებით მოგახსენებთ, რომ ჩემს უფლებებს ხელყოფდა არა ეს არასრული სართული, რომელიც ჩემს მხარეს საერთოდ არ არის განთავსებული, არამედ უშუალოდ მშენებლობის ნებართვა, რომლის გაცემის პროცესზეც საერთოდ არ ვყოფილვარ ინფორმირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანახმა ვარ, მშენებარე მიწის ნაკვეთზე გაიცეს მშნებლობის ნებართვა №AR1294096 განცხადებით წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად იმ პირობით, თუ მასში არ მოხდება სხვა სახის კორექტირებების შეტანაც და მშენებლობის პროცესი უშუალოდ მშენებლობის პროექტის დაცვით იქნება წარმართული.

პატივისცემით, რ. რაზმაძე

14.04.2015 წ.